

ვ) 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი 5 ლარია;

დ) იმავე დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი 10 ლარია.“;

ვ) 25-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 25¹ პუნქტი:

„25¹. მისამართზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ ცნობის განცხადების შეტანიდან:

ა) მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი 2 ლარია;

გ) 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი 5 ლარია;

დ) იმავე დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასურის განაკვეთი 10 ლარია.“.

3. 5¹ მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5² მუხლი:

„მუხლი 5². ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებული განცხადების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთები

1. მომსახურებისათვის, რომელთან დაკავშირებით განცხადების მიღება ხორციელდება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით პირდაპირი ვიზუალური კავშირის დამყარების შედეგად, საფასური გადაიხდევინება შემდეგი განაკვეთებით:

ა) საქართველოს მოქალაქის 32-გვერდიანი პასპორტის განცხადების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში დამზადებისათვის – 205 ლარი;

ბ) სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის (რეგისტრაციის განსახორციელებლად აუცილებელი შესწორების შეტანის ჩათვლით) და შესაბამისი მოწმობის განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – 350 ლარი;

გ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების, დამატებისა და ცვლილების შესახებ განცხადების წარდგენიდან მე-15 კალენდარულ დღეს დასკვნის მომზადებისათვის – 100 ლარი;

დ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობის ან ცნობის განცხადების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მომზადებისათვის – 50 ლარი;

